

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და პოზიცია

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შპს „ხელედულა ენერჯის“ ხელედულა 3 ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე

5 თებერვალი, 2019

2017 წლის 24 მაისს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ ლენტეხის მუნიციპალიტეტში მდ. ხელედულაზე დაგეგმილ ჰიდროელექტროსადგურის (ხელედულა 3 ჰესი) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე N-266 ბრძანებით გასცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (N-34).

პროექტი ითვალისწინებს მდ. ხელედულას და მდ. დევაშის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციას, რისთვისაც იგეგმება მდინარე ხელედულადან წყლის ხარჯის გადაგდება მდ. დევაშის ხეობაში 3816 მეტრის სიგრძის უდაწნეო გვირაბის საშუალებით. უდაწნეო გვირაბის გარდა, დაგეგმილია სადაწნეო მილსადენისა და გვირაბის მოწყობა მდინარის წყლის ხარჯის ჰესის სააგრეგატო შენობამდე მისაყვანად და ორი დაბალზღურბლიანი დამბის მოწყობა მდ. ხელედულასა და დევაშზე.

მოგვიანებით, 2018 წლის დასაწყისში, ჰესის საერთო სქემაში შევიდა ტექნიკური ხასიათის ცვლილებები, კერძოდ, მდ. დევაშზე დაგეგმილი დამბა 2-დან ჰესის სააგრეგატო შენობამდე გათვალისწინებული სადაწნეო გვირაბის ნაცვლად, გადაწყდა კომბინირებული სადერივაციო-სადაწნეო სისტემის მოწყობა 2368 მ სიგრძის მილსადენის და 454 მ სიგრძის სადაწნეო გვირაბის გამოყენებით. შედეგად, შეიცვალა პროექტის ტექნიკური პარამეტრებიც. საწყისად დაგეგმილი 50.77 მგვტ სიმძლავრისა, ჰესის დადგმული სიმძლავრე გაიზარდა 52.88 მგვტ-მდე, ხოლო წლიური გამომუშავება 254.934 მილიონი კვტ.სთ-დან შემცირდა 237.121 მილიონ კვტ.სთ-მდე.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ ასეთი ცვლილება, 'მველი' კანონითაც კი (გარემოზე ზემოქმედების ნებართვით) მოითხოვდა პროცედურის ხელახლა გავლას - ახალი გზმ-ს, etc.

2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მოთხოვნებიდან გამომდინარე, (კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი¹), აღნიშნული პროექტი ხვდება პირველი დანართით რეგულირებულ საქმიანობაში. შესაბამისად, კომპანია ვალდებული გახდა, დაეწყო გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურა საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად.

2018 წლის 13 ივნისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოსცა ბრძანება N2-459² ხელედულა 3 ჰესის სკოპინგის დასკვნის (N9) დამტკიცების თაობაზე. აღნიშნული ბრძანებით შპს

¹ გზმ-ს ექვემდებარება კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობები, მათ შორის „5 მეგავატი ან მეტი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ან/და ექსპლუატაცია“;
² http://moe.gov.ge/res/images/file_manager/gacemuli_daskvnebi_nebartvebi/xeledula_hesi_3333333333/.pdf

„ხელედულა ენერჯის“ დაევალა გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის მომზადება სკოპინგის დასკვნის და იქ განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

პარალელურად, პროექტის დაფინანსების სურვილი გამოხატა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD)³. ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე, შპს „ხელედულა ენერჯიმ“ მოამზადა დამატებითი გარემოსდაცვითი და სოციალური კვლევები⁴. მართალია, ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის ნაწილს, თუმცა, კვლევაში გამოკვეთილი საკითხები მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი გზშ ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხის შესაფასებლად.

მწვანე ალტერნატივამ განიხილა 2017 წლის გზშ ანგარიში, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად წარმოდგენილი გზშ ანგარიშის 2018 წლის ვერსია და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დავალებით შედგენილი დამატებითი სოციალური და გარემოსდაცვითი კვლევები.

ქვემოთ წარმოდგენილია ის ძირითადი პრობლემური საკითხები, რომლებიც არღვევს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსისა და სკოპინგის სავალდებულო პირობებს. შესაბამისად, არ არსებობს საფუძველი დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საფუძველზე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მიიღოს დადებითი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

I. პროცედურული ხასიათის შენიშვნა

I.1 სკოპინგის დასკვნა

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით⁵, „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.“; სხვა სიტყვებით, ასეთ შემთხვევაში, პროექტის განმახორციელებლის მიერ წარდგენილი სკრინინგის განცხადების საფუძველზე, სამინისტრომ უნდა გადაწყვიტოს, საჭიროა, თუ არა გზშ-ს ჩატარება. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ კოდექსი (მე-7 მუხლის მე-13 პუნქტი) უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ საქმიანობის განმახორციელებელმა, სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე, სამინისტროს მიმართოს მომდევნო ეტაპის გადაწყვეტილების - სკოპინგის დასკვნის - მისაღებად. სწორედ ამ შესაძლებლობით ისარგებლა კომპანია „ხელედულა ენერჯიმ“.

როგორც ჩანს, კომპანიამ ჩათვალა, რომ ტექნოლოგიური ცვლილების გამო, გზშ მას ხელახლა უნდა ჩატარებინა; ამდენად, კომპანიამ აღარ მიმართა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სკრინინგის გადაწყვეტილების მისაღებად და 2018 წლის 20 თებერვალს პირდაპირ სკოპინგის განცხადებით მიმართა სამინისტროს. კომპანიამ სამინისტროს წარუდგინა „მდ. ხელედულაზე „ხელედულა 3 ჰესის“ მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების“ სკოპინგის ანგარიში. კომპანიამ მიიჩნია, რომ ვინაიდან 2017 წელს პროექტზე გაიცა დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, ხოლო პროექტში შევიდა მხოლოდ ტექნიკური ხასიათის ცვლილებები⁶, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად, სამინისტროში უნდა წარედგინათ არა ხელედულა 3 ჰესის პროექტის სკოპინგის ანგარიში, არამედ მხოლოდ მასში შეტანილი ცვლილებების სკოპინგის ანგარიში.

³ <https://www.ebrd.com/work-with-us/projects/psd/kheledula-hpp.html>

⁴ <https://www.ebrd.com/work-with-us/projects/esia/kheledula-hpp.html>

⁵

⁶ „მდ. დევაშზე დაგეგმილი დამბა 2-დან ჰესის სააგრეგატო შენობამდე გათვალისწინებული სადაწნეო გვირაბის ნაცვლად გადაწყდა კომბინირებული სადერივაციოსადაწნეო სისტემის მოწყობა 2368 მ სიგრძის მილსადენის და 454 მ სიგრძის სადაწნეო გვირაბის გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ პროექტში შეტანილი ცვლილების შედეგად გათვალისწინებული მილსადენი გატარდება დამბა 2-ის განთავსების ადგილამდე მისასვლელად ძველი პროექტით დაგეგმილი საავტომობილო გზის დერეფანში, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების მასშტაბებს“ ამასთან „ხელედულა 3 ჰესის პროექტის სხვა პარამეტრები უცვლელი დარჩა.“

სამწუხაროდ, მსგავსი დაშვება მართებულად მიიჩნია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა და 2018 წლის 13 ივნისს N2-459 ბრძანებით გასცა „ხელედულა 3 ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების“ სკოპინგის დასკვნა. ბრძანებაში ნათქვამია, რომ მინისტრმა იხელმძღვანელა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე“⁷.

აღსანიშნავია, რომ კოდექსის მე-9 მუხლში მართლაც არის აღწერილი გზმ პროცესში სკოპინგის დასკვნის გაცემის პროცედურა, პირველი დანართის 22-ე პუნქტში განსაზღვრულია მხოლოდ გზმ-ს დაქვემდებარებული საქმიანობა: „5 მეგავატი ან მეტი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ან/და ექსპლუატაცია“, ხოლო „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში“⁸ საუბარია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის ორი ცალკეული სამინისტროს (გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების) უფლებამოსილებისა და ფუნქციების გადაცემაზე. თუმცა არცერთ ბრძანებაში მოხსენიებულ კანონებში არაფერი წერია მსგავსი პრეცედენტის დაშვების შესაძლებლობაზე.

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს არ ჰქონდა საფუძველი გაეცა სკოპინგის დასკვნა კომპანიის მიერ წარმოდგენილ „პროექტში შეტანილი ცვლილებების“ სკოპინგის ანგარიშზე.

I.2 გზმ ანგარიში

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის უხემ დარღვევას წარმოადგენს სკოპინგის ანგარიშის საფუძველზე მომზადებული თავად ხელედულა 3 ჰესის გზმ ანგარიშიც. გზმ-ს თანახმად, ის ეხება „მხოლოდ იმ ობიექტების მშენებლობა-ოპერირებით გამოწვეულ ზემოქმედებებს, რომელიც დაკავშირებულია პროექტის ცვლილებასთან“. უფრო მეტიც, კომპანია პირდაპირ აცხადებს, რომ ის „პასუხისმგებლობას იღებს შეასრულოს როგორც წინამდებარე დოკუმენტით გაწერილი გარემოსდაცვითი ღონისძიებები, ასევე 2017 წელს მომზადებულ გზმ-ს ანგარიშში მოცემული ღონისძიებები.“ აღნიშნული ჩანაწერიდან ნათელია, რომ კომპანია გეგმავს ჰესის მშენებლობას პრაქტიკულად ორი გზმ ანგარიშის მიხედვით, რაც სკოპინგის მოთხოვნას ეწინააღმდეგება.

2018 წლის 13 ივნისს გაცემული სკოპინგის ანგარიშში განსაზღვრული პირობებით (36 პირობა), საქმიანობის განმახორციელებელს უნდა წარმოედგინა სამინისტროსთვის ახალი გზმ ანგარიში: „სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სამინისტროში შპს „ხელედულა ენერჯი“-ს მიერ წარმოდგენილ ხელედულა 3 ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების სკოპინგის ანგარიშზე **სავალდებულოა გზმ-ს ანგარიში** მომზადდეს წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით“. კომპანიის მიერ გაკეთებული დაშვება კი საპირისპირო პროცესის (ერთ პროექტზე ორი გზმ ანგარიშის არსებობა) ინიცირებას ახდენს.

კომპანიამ სამინისტროში შეიტანა გზმ-ს ისეთი ვერსია, სადაც პრაქტიკულად იგნორირებულია სკოპინგის ანგარიშში სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პირობები (იხილეთ შინაარსობრივი შენიშვნები). უფრო მეტიც, კომპანია არ ეთანხმება სკოპინგის ანგარიშის ერთ-ერთ სავალდებულო პირობას ალტერნატივებთან დაკავშირებით. კომპანია ამ პირობას არასწორად და „ცალსახად ერთი ან ორი ექსპერტის მოსაზრებად მიიჩნევს“⁹, რაც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის უხემ დარღვევას წარმოადგენს: „6. სამინისტროს მიერ გაცემული სკოპინგის დასკვნა სავალდებულოა საქმიანობის განმახორციელებლისთვის გზმ-ის ანგარიშის მომზადებისას“.

⁷ http://moe.gov.ge/res/images/file-manager/gacemuli_daskvnebi_nebartvebi/xeledula_hesi_3333333333/.pdf

⁸ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3888824?publication=0>

⁹ „დამბის მდინარის ზედა დინებაში გადატანის ალტერნატივა მოწოდებულია ცალსახად, მხოლოდ ერთი ან ორი ექსპერტის მოსაზრებით, რაც არასწორად მიგვაჩნია“; გზმ ანგარიში; გვ. 209

მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილ გზშ ანგარიშზე დადებითი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უხეშად დაარღვევს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის არაერთ მოთხოვნას.

II. შინაარსობრივი შენიშვნები

II.1 პროექტის საჭიროება

პროექტის საჭიროების დასაბუთება წარმოდგენს ახალი კოდექსით განსაზღვრულ ერთ-ერთ საკვანძო საკითხს, რისი შეფასებაც აუცილებელია გზშ ანგარიშში. კოდექსის თანახმად, გზშ ანგარიში უნდა მოიცავდეს „ზ) გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასებას და მისი აუცილებლობის დასაბუთებას, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში“.

მართალია, გზშ ანგარიშში წარმოდგენილია შემდეგი ქვეთავები „6.11.1.1 ზემოქმედება მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე“; „6.11.1.2 დასაქმებასთან დაკავშირებული დადებითი და ნეგატიური ზემოქმედებები“; „6.11.1.3 წვლილი ეკონომიკაში“; „6.11.1.4 ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე და ადგილობრივ ინფრასტრუქტურაზე“; „6.11.1.5 ზემოქმედება ტურიზმზე“; „6.11.1.7 რესურსებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის რისკები“ და „4.1 არაქმედების ალტერნატივა“, თუმცა აღნიშნულ ქვეთავებში წარმოდგენილი ინფორმაცია იმდენად ზოგადი და დაუსაბუთებელია, რომ შეუძლებელია ამ ინფორმაციით მოხდეს გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონა გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში, როგორც ეს მოთხოვნილია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ქვეთავები და ჩანაწერები სიტყვასიტყვით მეორდება გამა კონსალტინგის მიერ სხვა ჰესებზე გაკეთებულ არაერთ გზშ ანგარიშში, რისი ნათელი მაგალითებია მესტიაჭალა ჰესი, ხადორი 3 ჰესი და ა.შ.

მაგალითად, გვხვდება შემდეგი ტიპის შეფასებები:

1. **დასაქმება** მშენებლობის ეტაპზე პირველ რიგში აღსანიშნავია დასაქმებით გამოწვეული დადებითი ზემოქმედება. მშენებლობაში დასაქმდება დაახლოებით 250-300 ადამიანი, რომელთა დიდი ნაწილი ადგილობრივი მოსახლეობა იქნება. აღნიშნული საკმაოდ მნიშვნელოვანი დადებითი ზეგავლენა იქნება თემის, ასევე საერთოდ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასაქმების და მათი სოციალურის მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრით.

თუმცა გაუგებარია, დასაქმებულთა პოზიცია, დასაქმების პერიოდი, ადგილობრივების წილი დასაქმებულთა შორის: ე.წ. „დიდი ნაწილი“. უფრო მეტიც, იმავე დოკუმენტის თანახმად, „ჰესის ექსპლუატაციაში დასაქმებულთა რაოდენობა არ იქნება მნიშვნელოვანი. შესაბამისად, ამ ეტაპზე როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ზემოქმედების რისკები ნაკლებია“. შესაბამისად მსგავსი ჩანაწერით შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს, როგორი იქნება პროექტის ზემოქმედება დასაქმებაზე.

2. **წვლილი ეკონომიკაში** მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება საგულისხმოდ წვლილს შეიტანს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. მშენებლობაზე გამოყენებული იქნება სამშენებლო მასალების ადგილობრივი რესურსები, რაც ხელს შეუწყობს სამშენებლო მასალების წარმოების სექტორის გააქტიურებას. *ჰესის ექსპლუატაციაში გაშვების შემდგომ ენერგოსისტემა მიიღებს დამატებით ელექტროენერჯიას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მიღწევისათვის. პროექტის განხორციელების შედეგად ადგილობრივ ბიუჯეტში შევა დამატებითი თანხები. მათ შორის, აღსანიშნავია ქონების გადასახადი. ამასთანავე სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმებული პერსონალის მომსახურებისათვის მოსალოდნელია სატელიტი ბიზნეს საქმიანობების (ვაჭრობა, მომსახურება, სატრანსპორტო უზრუნველყოფა, საკვები პროდუქტების წარმოება და სხვა) გააქტიურება, რაც დასაქმების დამატებით წყაროდ უნდა ჩაითვალოს“.*

თუმცა ზოგადი ჩანაწერის გარდა, არ არის წარმოდგენილი დეტალური შეფასება, კონკრეტულად რა სარგებელზეა საუბარი; რას ნიშნავს „საგულისხმო წვლილი“, პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ფინანსური გაანგარიშებები; რომელ სამშენებლო მასალების სექტორის გააქტიურებას შეუწყობს ხელს, არსებობს თუ არა ამის მაგალითები საქართველოს სხვა რეგიონში, თუნდაც სმცხე-ჯავახეთში, სადაც აავე კომპანიამ ააშენა ფარავანი ჰესი და ა.შ.

არ არის გამოყენებული ისეთი ეკონომიკური ინსტრუმენტი, როგორცაა დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზი, რის საფუძველზეც ნათელი წარმოდგენა შეეძენებოდა გადაწყვეტილების მიმღებს, თუ რა სარგებელს მიიღებს სახელმწიფო პროექტისგან და იქნება თუ არა ის საპირწონე იმ ზიანისა, რასაც აღნიშნული პროექტი აყენებს ბუნებრივ და სოციალურ გარემოს. ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია იმდენად ზოგადია, რომ ძნელია წარმოდგენა შეგვექმნას, თუნდაც პროექტის ენერგეტიკული სარგებლის შესახებ. ერთის მხრივ ანგარიშში საუბარია, პროექტის მნიშვნელოვან წვლილზე ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევაში, ხოლო მეორეს მხრივ, აღიარებულია, რომ პროექტი საექსპორტოდ არის განკუთვნილი და ქვეყნის ენერგოსისტემა მხოლოდ გამომუშავებული ენერჯის მინიმალურ ოდენობას მიიღებს.

რაც შეეხება ტურიზმზე გაკეთებულ ჩანაწერს, რომ თურმე „საკუთრივ საპროექტო დერეფანს (განსაკუთრებით დევაშის ხეობას) ტურისტული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ღირებულება არ გააჩნია“ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. როგორც მდინარე ცხენისწყალი, ისე მდ. ხელედულა და დევაში აქტიურად გამოიყენება საჯომარდოდ, ხოლო ხელუხლებელი ბუნება აღნიშნულ ხეობებში ეკოტურიზმის განვითარების უზარმაზარ შესაძლებლობას ქმნის.

შესაბამისად, დოკუმენტში პროექტის ეკონომიკურ-ეკოლოგიური შეფასება რეალურად არ არის ჩატარებული, რაც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების უხეში დარღვევაა.

II.2 ალტერნატივების ანალიზი

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის (პარაგრაფი 3 (ბ)) თანახმად, „გზმ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს: „ინფორმაციას გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის განხილული უნდა იყოს, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა, რომელიც გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, „რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით“;

კოდექსის მიხედვით, „დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ“ (მუხლი 8; პარაგრაფი 3 (ა.გ)) ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო სკოპინგის ანგარიშშიც. უფრო მეტიც, 13 ივნისს გაცემული სკოპინგის დასკვნით, კომპანიას დაევალა (პირობა 6) წარმოედგინა: „პროექტის ალტერნატიული ვარიანტები (მათ შორის არაქმედების ალტერნატივა), სადაც შერჩეული ვარიანტის დასაბუთება უნდა მოხდეს გარემოსდაცვითი თვალსაზრისით“.

სამინისტროსთვის წარდგენილ გზმ ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია მხოლოდ ჰესის მშენებლობაზე უარის თქმისა და თავად ჰესის ობიექტების ტიპის და განლაგების ვარიანტების თაობაზე. თუმცა ისეთი გონივრული ალტერნატივები, როგორცაა სხვა განახლებადი ენერჯის წყაროები (ქარი, მზე), საერთოდ არაა ნახსენები, რაც საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დარღვევასა და სკოპინგით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობას წარმოადგენს.

აღნიშნულის ნათელი მაგალითია 20 მგვტ სიმძლავრის ქართლის ქარის ელექტროსადგური, რომელმაც 2017-2018 წლის ზამთრის თვეებში (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი) გამოიმუშავა და საქართველოს ელექტრო სისტემას მიაწოდა თითქმის იმდენივე ელექტროენერჯია

(39.555 მლნ კვტ.სთ), რამდენის მიწოდებასაც გეგმავს შპს „ხელედულა ენერჯი“ საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად¹⁰.

რაც შეეხება პროექტის არგანხორციელების ალტერნატივას, წარმოდგენილი ინფორმაცია ზედაპირული და წინააღმდეგობრივია.

ერთის მხრივ, გზმ ამტკიცებს რომ „ჰესის პროგნოზირებული წარმოება მნიშვნელოვანია ზამთრის პერიოდშიც, როდესაც ხდება ელექტროენერჯის და ენერგომატარებლების იმპორტი მეზობელი ქვეყნებიდან და შესაბამისად მაღალია ელექტროენერჯის შესაძენი ფასი. პროექტი მცირე, მაგრამ მაინც საგულისხმო როლს ითამაშებს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევაში.“, მეორეს მხრივ კი გაუგებარია, როგორ უნდა გავიგოთ, მაინც რამდენია „საგულისხმო როლი“ და არის თუ არა ის, იმ ზიანის საპირწონე, რა ზიანიც მიადგება ბუნებრივ და სოციალურ გარემოს პროექტის განხორციელების შემთხვევაში. აქვე უნდა ავლნიშნოთ ის ფაქტიც, რომ სახელმწიფოსთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, საქართველო ვალდებულია კომპანიას გადაუხადოს 5.9 აშშ ცენტი 1 კვტ.სთ-ზე ზამთრის პერიოდში, რაც გაცილებით უფრო მაღალი ფასია, ვიდრე ელექტროენერჯის იმპორტის ღირებულება.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სკოპინგის დასკვნის ერთ-ერთ ვალდებულებად განისაზღვრა დამატებითი ალტერნატივის თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენის საჭიროება, კერძოდ, „მდინარის ქვედა ბიეფში მუდმივი ეკოლოგიური ხარჯის გასაზრდელად, ერთ-ერთი გამოსავალია დამბა 1-ის მდინარის ზედა ბიეფში გადატანა მდ. ხელედულას დინების საწინააღმდეგოდ, რაც მდ. ცხვარემს საშუალებას მისცემს მის მიერ ჩამოტანილი დიდი რაოდენობით ღვარცოფული მასალა ნაწილობრივ მაინც გაწმინდოს და ხეობის ქვედა მონაკვეთშიც დარჩება შედარებით მომატებული ეკოლოგიური ხარჯი“.

აღნიშნულ საკითხზე გარემოსდაცვითი თვალსაზრისით დასაბუთებული პასუხის ნაცვლად, კომპანიას მიაჩნია, რომ „დამბის ზედა ბიეფში გადატანის შემთხვევაში ეკოლოგიურ ხარჯს დაემატება მდ. ცხვარემის ხარჯი, მაგრამ ამ შემთხვევაში მცირდება ჰესის საპროექტო ენერგეტიკული ხარჯი, რაც მართალია გარემოსდაცვითი თვალსაზრისით ნაკლებად მნიშვნელოვანია, მაგრამ მხედველობაში მისაღები საკითხია“.

მიუხედავად საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის და სკოპინგის მოთხოვნებისა გარემოსდაცვითი თვალსაზრისით ალტერნატივების შეფასებასთან დაკავშირებით, პასუხიდან ცხადი ხდება, რომ თავად ადგილმდებარეობის ალტერნატივების შეფასება განხორციელდა მხოლოდ ენერგეტიკული მომგებიანობის თვალსაზრისით, რაც არღვევს ახალ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნებს.

II.3 დეტალური საინჟინრო გეოლოგიური კვლევები

პროექტზე გაცემული სკოპინგის დასკვნის სავალდებულო პირობების მიხედვით, გზმ ანგარიშში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო „19. საპროექტო დერეფანში ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში“ და „20. საკვლევი ტერიტორიის თანამედროვე გეოდინამიკური პროცესებისა და მოვლენების გავრცელების რუკა, სადაც ასახული იქნება ის სენსიტიური უბნები, რომლებიც მშენებლობისა და ექსპლოატაციის პერიოდში ყველაზე მაღალი რისკის მატარებლები არიან. აგრეთვე წარმოდგენილი უნდა იქნეს ამ უბნების სტაბილურობისა და უსაფრთხოებისათვის საჭირო დამცავი და შემარბილებელი ღონისძიებები“;

მიუხედავად აღნიშნული მოთხოვნისა დეტალური კვლევები არ არის წარმოდგენილი გზმ ანგარიშში, რასაც ადასტურებს თავად ანგარიშში არსებული ჩანაწერები¹¹:

¹⁰ შპს „ხელედულა ენერჯი“ ვალდებულია 52 მგვტ სიმძლავრის ხელედულა 3 ჰესის მიერ მთლიანი გამომუშავებული ელექტროენერჯის მხოლოდ 20% მიაწოდოს საქართველოს ელექტროსისტემას ზამთრის პერიოდში (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი), რაც მთლიანობაში 47.4 მილიონ კვტ.სთ-ს შეადგენს.

- ჭაბურღილების გაყვანა ვერ მოხერხდა დამბა 2-ის ტერიტორიაზე და გზის დერეფანში, მისასვლელი გზების არარსებობის გამო;
- დამბა 2-ის განთავსების უბანზე მისასვლელი გზის მოწყობისთანავე დამბის განთავსების ადგილზე გაყვანილი იქნება ჭაბურღილები და ჭაბურღილების მონაცემების საფუძველზე განისაზღვრება ფერდობის მდგრადობის უზრუნველყოფისთვის საჭირო კონსტრუქციების ზუსტი პარამეტრები.
- მშენებლობის პარალელურად დაგეგმილი კვლევების და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების ეფექტურად გატარების პირობებში შესაძლებელია ზემოქმედების მასშტაბების შემცირება.
- ჰესის სათაო ნაგებობებზე წყალსაცავის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად ამ მონაკვეთში ფერდობების დესტაბილიზაციის და მეწყერის განვითარების რისკი არ არის მაღალი.
- დევაშის ხეობაში მისასვლელი გზის გაყვანის პარალელურად განხორციელდება დამატებითი ჭაბურღილების გაყვანა, რომლის შედეგების საფუძველზეც დაზუსტდება ფერდობების გამაგრების, სანაპირო ზოლის დაცვის ღონისძიებები და დამცავი ნაგებობების პარამეტრები.
- ჰესის ძალური კვანძის განთავსების ტერიტორიაზე გრუნტის დაწვევის პრევენციის და მასთან დაკავშირებული ნეგატიური ზემოქმედების რისკების მინიმაციის, საძირკვლების მოწყობა მოხდება ნაბურღნატენ ხიმინჯებზე ან რკინა-ბეტონის ფილაზე. საბოლოო საინჟინრო გადაწყვეტა შემუშავებული იქნება სამშენებლო პროექტის მომზადების პროცესში;

უნდა აღინიშნოს ისიც რომ გზმ-ს მიხედვით, კომპანია გეგმავს საშიში გეოლოგიური მოვლენების მონიტორინგს ყველა სენსიტიურ უბანზე „განსაკუთრებით საწყისი 2 წლის განმავლობაში. საჭიროების შემთხვევაში უმოკლეს ვადებში გატარდება შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები (გეოლოგიური შესწავლა, პროექტის დამუშავება და გამაგრებითი სამუშაოები)“. იმის გარდა რომ აღნიშნული ჩანაწერი ეწინააღმდეგება სკოპინგის მოთხოვნებს დეტალურ შესწავლებთან დაკავშირებით, გაუგებარია, რის საფუძველზე შეირჩა მონიტორინგის პერიოდად „განსაკუთრებით საწყისი ორი წელი“ და არა ხუთი ან მეტი.

მიუხედავად იმისა რომ კოდექსით პირდაპირაა განსაზღვრული გზმ-ს მიზანი, რომ გამოვლენილ, შესწავლილ და აღწერილ იქნას საქმიანობით გამოწვეული პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე; ბიომრავალფეროვნებაზე, წყალზე, კლიმატზე, ლანდშაფტზე და ა.შ. გზმ ანგარიშში ვხვდებით ჩანაწერს, რომ მხოლოდ „ძლიერი ღვარცოფული ნაკადის მოსვლის შემდგომ მოხდება ზედა ბიეფების და ხეობის ზედა მონაკვეთის დათვალიერება და არსებული რისკების გამოვლენა, შესაბამისი ღონისძიებების (გაწმენდითი სამუშაოები და სხვა) განხორციელება“, რაც ეწინააღმდეგება კოდექსით განსაზღვრულ მიზნებს.

აღნიშნული ჩანაწერებიდან ნათელი ხდება, რომ მიუხედავად იმისა თუ რა წერია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში, რა არის მოთხოვნილი სკოპინგის ანგარიშში, საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ჰესის მშენებლობას „აპრობირებული“ ხერხით - დეტალური შესწავლების გარეშე, რაც გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსის უხეშ დარღვევას წარმოადგენს.

II.4 ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება

II.4.1 ზემოქმედება ცხოველთა სამყაროზე

¹¹ გზმ ანგარიშის ქვეთავები: „6.4 ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე. საშიში გეოდინამიკური პროცესები“; „6.4.2 ზემოქმედების დახასიათება“; „6.4.3 შემარბილებელი ღონისძიებები“;

სკოპინგის დასკვნის მიხედვით, კომპანიას დაევალა წარმოდგინა „22. სათანადო კვლევაზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია, უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ ცხოველებზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს „წითელ ნუსხით“ დაცულ სახეობებზე), მათ შორის წყალზე დამოკიდებულ ცხოველებზე, მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. აგრეთვე, წარმოდგენილი უნდა იქნეს ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები“.

მიუხედავად აღნიშნული მოთხოვნისა სათანადო კვლევა და ამ კვლევის შედეგები გზშ ანგარიშში არ იქნა წარმოდგენილი, რასაც მოწმობს ანგარიშის „6.7.3 ცხოველთა სამყაროზე ზემოქმედების დახასიათება“ ქვეთავი. ქვეთავში წარმოდგენილი ინფორმაციის მტკიცებით „როგორც ზოოლოგიური კვლევის შედეგად გამოიკვეთა ფაუნისტური თვალსაზრისით შედარებით მაღალ მგრძობიარე უბნებად ჩაითვალა დევაში ხეობა, სადაც ბინადრობენ კავკასიური ციყვი (Caucasian squirrel), მურა დათვი (Ursus arctos), წავი (Lutra lutra), ორბი (Gyps fulvus), ველის კაკაჩა (Bureo rufinus), ბუკიოტი (Aegolius funereus), კავკასიური გველეხლა (Vipera kaznakovi) და შესაძლოა ღამურებიც“.

წარმოდგენილი ინფორმაცია წინააღმდეგობაში მოდის EBRD-ის მოთხოვნით ჩატარებული კვლევის შედეგებთან. კერძოდ, დამატებითი გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ანგარიშის ქვეთავის „4.7 ხმელეთის ძუძუმწოვრები“-ს მიხედვით, საპროექტო არეალში გზშ ანგარიშში წარმოდგენილ სახეობების გარდა დამატებით გამოვლენილ იქნა შემდეგი სახეობები: მგელი (Canis lupus), მელა (Vulpes vulpes), ტყის კატა (Felis silvestris), ფოცხვერი (Lynx lynx), კლდის კვერნა (Martes foina), სინდიოფალა (Mustela nivalis), არჩვი (Rupicapra rupicapra) და ევროპული შველი (Capreolus capreolus). აღსანიშნავია, რომ არჩვის ნაკვალევი ნანახი იქნა უშუალოდ დევაშის ხეობის ზედა ნაწილში, დამბა-2-ის განთავსების უბნის მიდამოებში და მის ზემოთ, რაც მიუთითებს სკოპინგის მოთხოვნის და შესაბამისად გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის უხეშ დარღვევაზე.

II.4.2 ზემოქმედება იქთიოფაუნაზე

ზემოაღნიშნული კვლევის გარდა კომპანიას დაევალა „23. პროექტის გავლენის ზონაში არსებულ წყლის ბიომრავალფეროვნებაზე სათანადო კვლევაზე დაყრდნობით მომზადებული დეტალური ინფორმაცია, მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. გარდა ამისა, წარმოდგენილი უნდა იქნეს ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები“.

ისევე როგორც წინა შემთხვევაში, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად წარდგენილ გზშ ანგარიშის „6.7.4 ზემოქმედება იქთიოფაუნაზე“ ქვეთავი ამტკიცებს, რომ „როგორც ჩატარებული იქთიოლოგიური კვლევებით დადგინდა მდ. დევაშის საპროექტო მონაკვეთზე ბინადრობს მხოლოდ ნაკადულის კალმახი (Salmo trutta morfa fario Linnaes, 1758)“. წარმოდგენილი მტკიცება წინააღმდეგობაში მოდის EBRD-თვის მომზადებულ დამატებითი კვლევების შედეგებთან. „4.4.3.1 სახეობები და სივრცითი განაწილება“ ქვეთავის მიხედვით, საერთო ჯამში 92-ჯერ გადაგდებული სასროლი ბადის შედეგად „აღირიცხა თევზის ოთხი სახეობა: კალმახი, კოლხური წვერა, ანგორული გოჭალა და ქაშაპი“ მდინარე ხელედულასა და დევაშზე. შესაბამისად, გზშ ანგარიშის მტკიცება რომ მხოლოდ ნაკადულის კალმახი გვხვდება საპროექტო მდინარეებში არ შეესაბამება სინამდვილეს და წარმოადგენს სკოპინგის მოთხოვნის და შესაბამისად გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის უხეშ დარღვევას.

აღსანიშნავია, რომ გზშ ანგარიშში შემარბილებელ ღონისძიებად როგორც ზარალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკომპენსაციო ღონისძიებად განისაზღვრა თევზსაშენის მოწყობა: „ლენტეხის მუნიციპალიტეტში საჭიროა მძლავრი თევზსაშენის მოწყობა, სადაც მიღებული უნდა იქნას დაახლოებით 0.7 მლნ ცალი ლარვა. საიდანაც შესაძლებელი იქნება 400 ათასამდე ცალი 4-5 გრამიანი ლიფსიტის მიღება და ხელედულა 3 ჰესის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილი სხვა ჰესების კაშხლების ზედა

ბიეფებში გაშვება.“ თუმცა გაუგებარია ვისი დაფინანსებით უნდა აშენდეს ეს თევზსავალი და როგორ და ვისი დაფინანსებით უნდა იფუნქციონიროს.

II.4.3 ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრის მეთოდოლოგია

სკოპინგის დასკვნის სავალდებულო პირობების მიხედვით, გზმ ანგარიშში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ასევე „27. მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც იქნა დათვლილი მდინარის ეკოლოგიური ხარჯი“.

გზმ ანგარიშის თანახმად, (6.5.2.2 ექსპლუატაციის ეტაპი) მდინარის ქვედა ბიეფზე ზემოქმედების შესამცირებლად მნიშვნელოვანი შემარბილებელი ღონისძიებად მიჩნეულია ეკოლოგიური ხარჯის გატარება, თუმცა აღნიშნულია, რომ „საპროექტო ცვლილებებით იგივე რჩება ენერგეტიკული დანიშნულებით ასაღები წყლის და შესაბამისად ეკოლოგიური ხარჯი (დამბა 1-ის შემთხვევაში 1.47 მ/წმ; დამბა 2-ის შემთხვევაში -0.318 მ/წმ). შესაბამისად გზმ ანგარიშში არ არის წარმოდგენილი მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც გამოთვლილ იქნა ზემოაღნიშნული ეკოლოგიური ხარჯების ღონეები. ეს კი სკოპინგის დასკვნის და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების უხეშ დარღვევას წარმოადგენს.

II.5 სოციალური ზემოქმედება

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, გზმ ანგარიშში უნდა მოიცავდეს: „ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას გარემოზე შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესახებ, მათ შორის, მოსახლეობაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, წყალზე (მათ შორის, ჰიდრომორფოლოგიური ცვლილებები, რაოდენობა, ხარისხი), მიწაზე (მათ შორის, ორგანული ნივთიერებები, ეროზია, დატკეპნა, დეგრადაცია), კლიმატზე (მათ შორის, სათბურის გაზების ემისია), ა.შ.“¹²;

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოდგენილ ანგარიშში სოციალური ზემოქმედების საკითხს საერთო ჯამში სამ გვერდამდე ეთმობა, რაც ნათლად მიუთითებს, რომ პროექტის სოციალური ზემოქმედება შესრულებულია მხოლოდ ფორმალურად და აქცენტი კეთდება მხოლოდ პროექტიდან მომდინარე სარგებელზე. ეს ქვეთავებია: 5.2.6 „სოციალურ-ეკონომიკური გარემო“ (ნახევარი გვერდი); „6.11.1.1 ზემოქმედება მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე“ (ნახევარი გვერდი); „6.11.1.2 დასაქმებასთან დაკავშირებული დადებითი და ნეგატიური ზემოქმედებები“ (ერთი პარაგრაფი); „6.11.1.4 ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე და ადგილობრივ ინფრასტრუქტურაზე“ (ნახევარი გვერდი); „6.11.1.5 ზემოქმედება ტურიზმზე“ (ორი პარაგრაფი); „6.11.1.6 ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე“ (ნახევარი გვერდი); „6.11.1.7 რესურსებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის რისკები“ (ორი პარაგრაფი).

ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორცაა: მდინარის ქვედა ბიეფში მნიშვნელოვნად შემცირებული წყლის ხარჯით გამოწვეული მიკროკლიმატიც ცვლილების ზეგავლენა სოფლების საცხოვრებელ გარემოზე (მოსავლიანობაზე, ტურიზმის განვითარებაზე ა.შ.); ჰესის მშენებლობის გამო, სათემო საკუთრებაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა; სადერივაციო გვირაბის გაყვანისას გამოწვეული მიწისქვეშა წყლების რეჟიმის ცვლილებები და მათი ზეგავლენა სოფლების წყლით მომარაგებაზე; შენობა-ნაგებობების ფონური მდგომარეობის შეფასება (შესაბამისი დასურათებითა და ექსპერტული დასკვნებით) და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელება და მონიტორინგი; ა.შ. არ არის შესწავლილი და შეფასებული გზმ-ში, რაც საქართველოს კანონმდებლობის უხეშ დარღვევას წარმოადგენს.

¹² მუხლი 10 3 (გ)

II.6 კუმულაციური ზემოქმედება

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით (მუხლი 10) გზშ ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას „დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას გარემოზე შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესახებ, მათ შორის, მოსახლეობაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, ბიომრავალფეროვნებაზე (მათ შორის, მცენარეთა და ცხოველთა სახეობები, ჰაბიტატები, ეკოსისტემები), წყალზე (მათ შორის, ჰიდრომორფოლოგიური ცვლილებები, რაოდენობა, ხარისხი), ჰაერზე, ნიადაგზე (მათ შორის, ნიადაგის მოხსნა), მიწაზე (მათ შორის, ორგანული ნივთიერებები, ეროზია, დატკეპნა, დეგრადაცია), კლიმატზე (მათ შორის, სათბურის გაზების ემისია), ლანდშაფტზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე (მათ შორის, არქიტექტურული და არქეოლოგიური ასპექტები) და მატერიალურ ფასეულობებზე ზემოქმედების შესახებ“ „და მათ ურთიერთქმედებაზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი, კუმულაციური,“ რომელიც გამოწვეულია: „სხვა, არსებულ საქმიანობასთან ან დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედებით“;

გზშ ანგარიშის „6.15 კუმულაციური ზემოქმედება“ თავი ეძღვნება სწორედ აღნიშნულ საკითხს რისთვისაც დათმობილი აქვს მხოლოდ 1 გვერდი. ქვეთავში აღნიშნულია, რომ მართალია ლენტეხის მუნიციპალიტეტი ჰიდროენერგეტიკული რესურსებით ერთერთი მდიდარი რეგიონია საქართველოსი და რეგიონშიც დაგეგმილია რამდენიმე პროექტის განხორციელება, მათ შორის, ხელედულა 2 ჰესი, თუმცა „კუმულაციური ზემოქმედების უფრო დეტალური შეფასება შესაძლებელი იქნება მას შემდეგ რაც მიღებული იქნება გადაწყვეტილება აღნიშნული პროექტების განხორციელებაზე და დაზუსტდება კასკადის ზედა საფეხურების საპროექტო პარამეტრები.

ნათელია, რომ გზშ ანგარიში არ მოიცავს კუმულაციური ზემოქმედების შეფასებას, რითიც ირღვევა საქართველოს კანონმდებლობა.

დასკვნა

ზემოაღნიშნული საკითხებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი გზშ ანგარიში პირდაპირ არღვევს გარემოსდაცვით შეფასების კოდექსის არაერთ მუხლსა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრულ სავალდებულო პირობებს. ამასთან გზშ მოიცავს არაერთ წინააღმდეგობრივ თუ კოპირებულ ინფორმაციებს სხვა გზშ ანგარიშებიდან.